საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ამირან ძაბუნიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი:

თარიღი: 30/11-2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ამირან ძაბუნიძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ამირან ძაბუნიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ამირან ძაბუნიძის „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შესაფასებლად, წინამდებარე დასაბუთებაში დეტალურად არის განხილული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. რა დროსაც, ვიხელმძღვანელე კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		თვისებებითა და მახასიათებლებით. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად, ვინაიდან არ გამოკვეთილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მივიჩნიე, რომ იგი თითოეული კომპონენტის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად. შესაბამისად, გავაკეთე დასკვნა, რომ ამირან ძაბუნიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	ამირან ძაბუნიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[1] შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში მის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, იცნობს ადამიანის უფლებათა სამართალს. საჯარო მოსმენაზე სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე მსჯელობისას მან გამოავლინა არგუმენტირებული მსჯელობისა და აზრის ლოგიკურად ფორმირების უნარი. თუმცა, რიგ შემთხვევებში დასმული შეკითხვების გათვალისწინებით, მის მიერ განვითარებული სამართლებრივი მსჯელობა არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი.

[1] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 მაისის განჩინება, საქმე N2ბ/6818-16.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	ამირან ძაბუნიძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება. ამასთან, კანდიდატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის არგუმენტირებული და იგი განმტკიცებულია სათანადო მატერიალური და პროცესუალური ნორმებით. საჯარო მოსმენაზეც ამირან ძაბუნიძე უმეტესად დამაჯერებლად აყალიბებდა საკუთარ მოსაზრებებს.
წერის უნარი	20	20	ამირან ძაბუნიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. ამასთან, მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული, ნათელი და არაორაზროვანი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	ამირან ძაბუნიძე მეტყველებს გამართულად. იგი საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს ძირითადად გადმოსცემს ღიად, ნათლად და გასაგებად. აგრეთვე, აქვს სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით. ამასთან, 2018 წლის იანვრიდან - 2021 წლის იანვრამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, დაბალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (36,2%) პროცენტული მაჩვენებელი, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს 89,8%-ს.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ სემინარში, სასწავლო ვიზიტსა და სამუშაო შეხვედრაში.
პროფესიული აქტივობა	3	5	ამირან ძაბუნიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. თუმცა იგი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და მომზადებული არ აქვს სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.
ქულათა ჯამი	93	100	

დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N1/207 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის N1/237 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ამირან ძაბუნიძე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ამირან ძაბუნიძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

	აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ამირან ძაბუნიძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ამირან ძაბუნიძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ამირან ძაბუნიძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი</u>* ამირან ძაბუნიძის პიროვნულ თვისებებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ სამსახურებრივი და პირადი ხასიათის ურთიერთობა აფასებენ დადებითად. ამასთან, უთითებენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე, კორექტული, გაწონასწორებული, თავმდაბალი, კომუნიკაბელური და საქმისადმი ერთგული. კანდიდატის მხრიდან პასუხისმგებლობის სათანადოდ შეგნებასთან და მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა დაწესებულებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად იგი ჯეროვნად ასრულებს სამსახურებრივ, ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კერძოდ, მას უარყოფითი საკრედიტო ისტორია არ უფიქსირდება, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სხვ.

	<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელი</u> ამირან ძაბუნიძის დახასიათებისას რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის სამართლიანი, პრინციპული და მიუკერძოებელი. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე და საჯარო მოსმენაზე კანდიდატის მიერ გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით შემექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი არის პრინციპული, პიროვნულად მყარი, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ამირან ძაბუნიძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას რაც შეეხება, იგი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოთქმულა ისეთი მოსაზრებები, რაც შეიტანდა ეჭვს მის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობაში *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელი</u>* ამირან ძაბუნიძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, საჯარო მოსმენაზე აქტუალურ და პრობლემურ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას, კანდიდატმა გამოავლინა, რომ იგი არის საკმაოდ თავდაჭერილი, თავდაჯერებული, თავაზიანი და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამირან ძაბუნიძის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოება არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. *<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელი</u>* კანდიდატის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, აღნიშნავენ, რომ კანდიდატი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტითა და კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით.

	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში ამირან ძაბუნიძის შესახებ ძირითადად ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. ამასთან, მედიამ გააშუქა კანდიდატის არჩევა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად და სხვ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ამირან ძაბუნიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელი</u>* ამირან ძაბუნიძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ ამირან ძაბუნიძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული

	მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელი</u>* იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 15 ნოემბერს ამირან ძაბუნიძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. ამირან ძაბუნიძე იყო მშვიდი, გაწონასწორებული, თავდაჯერებული და კორექტული. აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული საკითხების ცოდნა და კარგი ანალიზის უნარი. ამასთან, სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე საუბრისას იგი გამოირჩეოდა აზრის თანმიმდევრულად და ლოგიკურად ფორმირების უნარით. თუმცა, დასმული შეკითხვების გათვალისწინებით, ამირან ძაბუნიძის მიერ განვითარებული სამართლებრივი მსჯელობა ზოგჯერ არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი. ამირან ძაბუნიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, იცნობს ადამიანის უფლებათა სამართალს. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას ნათელი გახდა, რომ კანდიდატს აქვს სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირების, მათი

[2] იხ. ამირან ძაბუნიძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=np7qVXTigs0

	გადაწყვეტისთვის შესაბამისი ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და ადეკვატური დასკვნების გაკეთების უნარი. კანდიდატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სამართლებრივი ნორმები გამოყენებულია მართებულად და თანმიმდევრულად. რეკომენდატორების მოსაზრებით, იგი მაღალ დონეზე ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე, კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და მუდამ ზრუნავს პროფესიული ცოდნის ამაღლებაზე. აღსანიშნავია, რომ ამირან ძაბუნიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის IV ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 86-ე ადგილი. <u>*სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნარის მახასიათებლები*</u> ამირან ძაბუნიძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე და დაკისრებული აქვს ამავე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება. ამირან ძაბუნიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში კარგად ახდენს სამართლებრივი ნორმების გამოყენებასა და გაანალიზებას. მასში თანმიმდევრულად და ნათლად არის გადმოცემული როგორც ფაქტები, ისე სამართლებრივი საკითხები. იგი მომზადებულია მკითხველისთვის გასაგები ენით და დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი როგორიცაა დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამირან ძაბუნიძის დახასიათებისას რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით, ამასთან, კანდიდატს ხანგრძლივი

	პროფესიული გამოცდილება შესაძლებლობას აძლევს მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით კარგად დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება. *ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი* ამირან ძაბუნიძე მეტყველებს გამართულად. იგი საკუთარ პოზიციისა და შეხედულებებს ძირითადად გადმოსცემს ღიად, ნათლად და გასაგებად. აგრეთვე, გააჩნია სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარს მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირებიც აფასებენ დადებითად. *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარგაზში ქცევის მახასიათებელი* კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის იანვრიდან - 2021 წლის იანვრამდე პერიოდში, დაბალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (36,2%) პროცენტული მაჩვენებელი, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს 89,8%-ს. რაც ცხადყოფს, რომ ამირან ძაბუნიძე არის შრომისმოყვარე და იგი სასამართლო სხდომებს წარმართავს სათანადოდ. ამასთან, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ამირან ძაბუნიძეს ახასიათებენ როგორც პუნქტუალურ პიროვნებას, აგრეთვე, უთითებენ, რომ მას აქვს დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, აგრეთვე, გამოირჩევა მენეჯერული უნარ-ჩვევებით. *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის მახასიათებლები* ამირან ძაბუნიძე არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა

	ღონისძიებაში. აგრეთვე, ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. კანდიდატი 2003-2005 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი. 2016 წელს ამირან ძაბუნიძე მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად. 2019 წლის 5 ოქტომბრიდან კი იგი არჩეულ იქნა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად. კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და მომზადებული არ აქვს სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ამირან ძაბუნიძესთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგინა 93 ქულა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 30/11-2021 წ.